



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის
შესახებ

განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირება (ერთობლივი),
მერვე დონე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
და
ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 17/12/2024

დასკვნის
წარდგენის თარიღი 18/02/2025

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ათენის ეროვნული და კაპოდისტრიუტის უნივერსიტეტის (NKUA)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	არ ეხება
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	(ევანგელოს ცილიგირისი, ნოტინჰემ ტრენტის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკატერინე ფიფია, (დარგის ექსპერტი), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოფიო ჟღენტი (დამსაქმებელი ექსპერტი), ბრიტანულ-ქართული აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო პატარაია (განათლების ექსპერტი), ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარი ხუციშვილი (სტუდენტი ექსპერტი)

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირება (ერთობლივი)
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Governance and Administration in Education and Science (Joint)
უმაღლესი განათლების საფეხური	სადოქტორო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	განათლების მეცნიერების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0111 განათლების მეცნიერება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	არ ეხება
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	55
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	არ ეხება

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მითითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

■ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა: განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირება წარმოადგენს კოლაბორაციულ ინიციატივას, რომელიც შემოთავაზებულია ერთობლივად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ, საქართველო) და ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტის (NKUA) (საბერძნეთი) მიერ. აღნიშნული სადოქტორო პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს ხარისხს განათლების მეცნიერებაში. პროგრამა იმგვარად არის შემუშავებული, რომ განავითაროს განათლებისა და მეცნიერების მმართველობის პროფესიონალების კვლევითი და პრაქტიკული კომპეტენციები.

პროგრამა ექვს სემესტრზეა აგებული და სასწავლო კომპონენტს (55 ECTS კრედიტი) აერთიანებს ძლიერ სამეცნიერო კვლევით კომპონენტთან; პროგრამა მოიცავს სავალდებულო მოდულებს, როგორიცაა "შესავალი კვლევის მეთოდებში (Advanced)", "კვლევის გლობალური ინოვაციები საგანმანათლებლო და მომხმარებელ სფეროებში" და ლიდერობა განათლებაში. პროგრამა ასევე მოიცავს არჩევით კურსებს, ზაფხულისა და ზამთრის სკოლებსა და კვლევის ასისტენტობას, რაც ხელს უწყობს ყოვლისმომცველი და ინტერდისციპლინური აკადემიური გამოცდილების მიღებას.

პროგრამა სრულად ინგლისურენოვანია და მიზნად ისახავს თეორიასა და პრაქტიკას შორის ხიდის გადებას; იგი საკვლევ თემებს საზოგადოების საჭიროებებს შეუსაბამებს. პროგრამა კურსდამთავრებულებს მისცემს კრიტიკულ ანალიტიკურ უნარებს, პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობებსა და განათლებისა და მეცნიერების ადმინისტრირების სიღრმისეულ გაგებას; იგი კურსდამთავრებულებს მოამზადებს ლიდერების პოზიციებზე სხვადასხვა სექტორში, მათ შორის აკადემიურ სივრცეში, პოლიტიკის შემქმნელ და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს მაგისტრის ხარისხს სამაგისტრო ნაშრომით, შესაბამის სამუშაო გამოცდილებას, ინგლისური ენის ცოდნას და საკვლევ თემის დეტალურ პროექტს. სტუდენტები ისარგებლებენ საერთაშორისო ნეთვორქინგის შესაძლებლობებით, ორივე უნივერსიტეტის ექსპერტების თანახელმძღვანელობითა და ვრცელ აკადემიურ რესურსებზე წვდომით. პროგრამა აერთიანებს თანამედროვე პედაგოგიურ მეთოდებს, როგორიცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლა, ელექტრონული სწავლება და პრობლემის გადაჭრის მიდგომები, რათა კურსდამთავრებულები კარგად მოამზადდნენ გლობალური საგანმანათლებლო გამოწვევების დასაძლევად.

პროგრამა ასახავს თსუ-ს და NKUA-ს ძალისხმევას საერთაშორისო თანამშრომლობის, ინოვაციების ხელშეწყობისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებისადმი. იგი შეესაბამება საქართველოს ეროვნულ სტრატეგიას, რომელიც, მკაცრი შეფასებისა და უწყვეტი განვითარების გზით, სადოქტორო განათლების გაუმჯობესებას და გლობალური აკადემიური სტანდარტების დაკმაყოფილებას ითვალისწინებს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ვიზიტი 17 დეკემბერს, სამშაბათს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თბილისის კამპუსში გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა ხუთი ექსპერტისგან, ვიზიტს ესწრებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორი წარმომადგენელი და თარჯიმანი.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა ყველა დაინტერესებულ მხარეს, რომელიც ვიზიტის პროგრამით იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა, ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფს დაათვალიერებინეს ობიექტები; შეხვედრა გაიმართა ბიბლიოთეკის პერსონალთანაც; მათ ექსპერტთა ჯგუფს დამატებით მიაწოდეს ინფორმაცია პროგრამის სასწავლო რესურსებზე წვდომასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დაინტერესებულ მხარეთა ქვემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებს: 1) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია; 2) თვითშეფასების ჯგუფი; 3) პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი; 4) დამსაქმებლები; 5) სტუდენტები და კურსდამთავრებულები; და 6) ხარისხის სამსახური. დადებითი და კონსტრუქციული დისკუსიის ფარგლებში, ყველა მონაწილემ ღირებული ინფორმაცია მოგვაწოდა.

ექსპერტთა ჯგუფმა უნდა აღნიშნოს, რომ პანელურ დისკუსიებზე წარმოდგენილ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჯგუფი მოიცავდა ისეთ ინდივიდებს, რომლებიც დასაქმებულები არიან თსუ-ში. ცენტრის წარმომადგენლები ამის შესახებ წინასწარ ინფორმირებულნი არ იყვნენ. თსუ-მ განმარტა, რომ იმ დროისთვის, სხვა კურსდამთავრებულები ხელმისაწვდომი არ იყვნენ. ცენტრის სახელმძღვანელო პრინციპებით, მსგავსი რამ არ უნდა მომხდარიყო და აუცილებელი იყო, რომ დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფისთვის ეს ინფორმაცია ვიზიტამდე მიეწოდებინა. ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მაინც ჩაეტარებინა გასაუბრებები, კურსდამთავრებულების უკუკავშირის/პასუხების პოტენციური მიკერძოებულობის გათვალისწინებით.

ვიზიტი დასრულდა უკუკავშირის მოკლე შეხვედრით, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდა შემაჯამებელი ინფორმაცია ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების მთავარ ასპექტებზე.

• საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა შემოთავაზებული პროგრამა შეაფასა 1) ცენტრის აკრედიტაციის სტანდარტებისა და 2) ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომის გამოყენებით.

შეფასების პროცესი მოიცავდა დაწესებულების ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებას, აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში ორი დაწესებულების

მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, თვითშეფასების ანგარიშს და ადგილზე ვიზიტი დროს ჩატარებული გასაუბრების/დისკუსიის მტკიცებულებებს.

სტანდარტების თითოეული კომპონენტი შეფასდა მტკიცებულებათა კომბინაციით; კომპონენტების შეფასება გადანაწილდა ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრზე, მათ შორის თავმჯდომარეზე. თავმჯდომარე კურიერება მთელ პროცესს. სწორედ მან შეაჯამა მტკიცებულებები და ექსპერტთა დაკვირვებები.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

სასწავლო გეგმის სტრუქტურა უზრუნველყოფს ლოგიკურ პროგრესიას, მოიცავს ძირითად და არჩევით კურსებს, რომლებიც შეესაბამება სწავლის დასახულ შედეგებს. ასევე, პროგრამის მიზნები შეესაბამება საერთაშორისო კრიტერიუმებს (მაგ. ზალცბურგის პრინციპები). შეფასების მკაცრი მექანიზმებით ხდება ამ შედეგებზე დაკვირვება და მათი გაუმჯობესება, რაც მხარდაჭერილია პროფესორ-მასწავლებლების ექსპერტიზითა და ძლიერი რესურსებით. პროგრამა სრულად შეესაბამება 1.1–1.3 კრიტერიუმებს, რომელიც მისიასთან, ადგილობრივ/საერთაშორისო საჭიროებებთან შესაბამისობას და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას უკავშირდება.

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

სწავლების მეთოდოლოგია არის სტუდენტზე ორიენტირებული; იგი იყენებს პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, დამოუკიდებელ კვლევას და ციფრულ ინსტრუმენტებს სხვადასხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებით ყურადღება ეთმობა აკადემიურ სრულყოფილებას და პროფესიულ გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს, რომ კანდიდატები კარგად მომზადებულნი იყვნენ დოქტორანტურის დონის კვლევისთვის. სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმებით უზრუნველყოფილი შეფასების სისტემები გამჭვირვალეა და აკმაყოფილებს სამართლებრივ სტანდარტებს, რაც ხელს უწყობს მუდმივ განვითარებას. პროგრამა სრულად შეესაბამება 2.1–2.4 სტანდარტებს, განსაკუთრებით კი შეფასების მეთოდების დასახულ სწავლის შედეგებთან დაკავშირებისა და საერთაშორისო სტუდენტებისთვის მოქნილობის უზრუნველყოფის ნაწილში.

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

ხელმძღვანელებთან კონსულტაციებისა და სტუდენტების ადგილობრივ/საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გზით, პროგრამა პერსონალიზებულ აკადემიურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. სეზონური სკოლები და კვლევითი პროექტები ხელს უწყობს კოლაბორაციულ სწავლებას და გლობალურ ხილვადობას. პროგრამა შეესაბამება 3.1–3.2 სტანდარტებს, რადგან იგი უზრუნველყოფს სტუდენტთა სათანადო მხარდაჭერას, ინტეგრაციას და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს.

სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამას მხარს უჭერს კვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი; ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს შორის ხელსაყრელი თანაფარდობა აუმჯობესებს

პერსონალიზებულ ხელმძღვანელობას. პროფესიული განვითარების ყოვლისმომცველი შესაძლებლობები და საერთაშორისო ქსელებთან წვდომა აძლიერებს აკადემიურ გარემოს. მატერიალური რესურსები, მათ შორის ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიები და ციფრული მონაცემთა ბაზები სტუდენტებს ადეკვატურად ეხმარება და შეესაბამება პროგრამის მიზნებს. ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია სტრატეგიული ბიუჯეტის დაგეგმვის გზით, სამთავრობო და ინსტიტუციური წყაროების შენატანებით. პროგრამა სრულად შეესაბამება 4.1–4.5 სტანდარტებს, რამეთუ უზრუნველყოფს ადეკვატურ მატერიალურ, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს.

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები, პერიოდული მიმოხილვები და მონიტორინგისა და განვითარების პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უზრუნველყოფს მზარდ საგანმანათლებლო საჭიროებებთან და გლობალურ სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას. პროგრამა წარმატებით აერთიანებს საერთაშორისო თანამშრომლობას და დისციპლინურ მიდგომებს, ამზადებს კურსდამთავრებულებს განათლებისა და მეცნიერების მმართველობის ლიდერთა როლებისთვის. პროგრამა სრულად შეესაბამება 5.1–5.3 სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს მუდმივ შესაბამისობას მზარდ აკადემიურ სტანდარტებთან და შრომის ბაზრის საჭიროებებთან.

▪ რეკომენდაციები

1. 2.1. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების პროცედურის ფარგლებში, კვლევითი პროექტისა და მიზნის განაცხადის შეფასები კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს და მკაფიოდ აისახოს დოკუმენტაციაში, რაც უზრუნველყოფს კანდიდატების კვლევითი შესაძლებლობების შეფასების გამჭვირვალობასა და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა გაკრვეული ასპექტები, რომლებიც საჭიროებს ყურადღებასა და გაუმჯობესებას. თუმცა, რამდენადაც ეს არ გულისხმობს შეფასების კრიტერიუმების დაკმაყოფილების კუთხით სერიოზულ ნაკლოვანებებს, ექსპერტთა ჯგუფმა ეს ასპექტები წარმოადგინა რჩევების და არა ოფიციალური რეკომენდაციის ფორმით.

1. სასურველია, გადახედოთ და დახვეწოთ ბიუჯეტის ასიგნებები, რათა უზრუნველყოთ ყველა პუნქტის, მათ შორის მობილობის ხარჯები, ზუსტი აღრიცხვა; (4.4)
2. სტრუქტურა, თანმიმდევრობა და სწავლის სქემა ოდნავ გაუგებარია პოტენციური სტუდენტისთვის. სასურველია, პოტენციურ სტუდენტებს უფრო დეტალურად

გააცნოთ სტუდენტის გასავლელი გზა, რათა უზრუნველყოთ პროგრამის გზამკვლევის მეტი სიცხადე და ხელმისაწვდომობა. (1.4)

3. სასურველია, ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნების სტანდარტიზება პროგრამის ყველა დოკუმენტში; (2.1)
4. სასურველია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში, ინგლისური ენის მოთხოვნები მოიცავდეს საერთაშორისო სერტიფიცირების დამატებით ვარიანტებს, როგორც კემბრიჯის გამოცდები CAE ან სხვა; ასევე სასურველია დაკონკრეტდეს ენის სერტიფიკატების მოქმედების ვადებთან და წარსულში ინგლისურ ენაზე სწავლასთან დაკავშირებული ინფორმაცია. (2.1)
5. სასურველია, შეიქმნას პოტენციური ხელმძღვანელების სია მათი საკონტაქტო ინფორმაციით, რათა ხელი შეეწყოს ერთობლივ პროგრამაში სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის დაწყვილების პროცესს. (2.1)
6. სასურველია, უფრო დეტალურად გაითვალისწინოთ ის თუ როგორ პასუხობს პროგრამა სტუდენტთა წარსული განათლებისა მრავალფეროვნებასა და სწავლის სტილებს სხვადასხვა მოდულების შიგნით. (1.5)
7. მართალია, პროგრამა აერთიანებს საერთაშორისო ელემენტებს, თუმცა სასურველია საერთაშორისო სტუდენტებზე უფრო მეტად მორგებული მხარდაჭერის უზრუნველყოფა (მაგ., კულტურული საორიენტაციო შეხვედრები, ენის მხარდაჭერა), რამაც შესაძლოა მათი გამოცდილება გააუმჯობესოს. (1.5)
8. სასურველია, სტუდენტებს შესთავაზოთ ისეთი არჩევითი კურსები, რომლებიც შეისწავლიან განვითარებად სფეროებს, მაგალითად ხელოვნურ ინტელექტს განათლების სფეროში, ინტერდისციპლინურ მმართველობას და კვლევის ინოვაციური დაფინანსების მოდელებს. ეს გააუმჯობესებს სამომავლო ტენდენციებთან პროგრამის ადაპტირების შესაძლებლობას. (1.5)
9. მაღალკვალიფიციური პერსონალის მიუხედავად, სასურველია განვითარებად დარგებში (მაგალითად ციფრულ პედაგოგიკაში ან ინტერდისციპლინურ კვლევაში) დამატებითი ტრენინგების ჩატარება, რაც პერსონალის ეფექტურობას კიდევ უფრო გაზრდის. (4.1)
10. სასურველია, ინდუსტრიასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება, რამაც შესაძლოა პერსონალი უზრუნველყოს დამატებითი რესურსებითა და ქსელებით, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს პროგრამას. (4.1)

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴

პროგრამა წარმოადგენს ტრანსნაციონალური საგანმანათლებლო თანამშრომლობის ინოვაციურ და დროულ ფორმას. კერძოდ, ის დაფუძნებულია ორ დაწესებულებას შორის

⁴ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

სტრატეგიულ შეთანხმებაზე და შექმნილია ისე, რომ გამოიყენოს თითოეული პარტნიორის ექსპერტიზა, ბაზარზე წვდომა და ზოგადად რესურსები. ეს პროგრამა შეიძლება, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) ფარგლებში, ტრანსნაციონალური განათლების ერთგვარ პროექტად იქცეს.

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფს ეცნობა უმაღლესი სასწავლებლის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ და დარწმუნებულია, რომ ანგარიშში აღნიშნული რეკომენდაცია განხილული იქნება დროულად და სათანადოდ.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტის დროს მოწოდებული მტკიცებულებების გათვალისწინებითა და თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციის დაზუსტებით დგინდება, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება ორივე დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ ამოცანებს. ასეთი სტრატეგიული შესაბამისობა განისაზღვრა როგორც ამ ორ დაწესებულებას შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარე. მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია და გაზიარებულია ყველა დაინტერესებულ ჯგუფთან, მათ შორის პოტენციურ სტუდენტებთან.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შეესაბამება სადოქტორო განათლების როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს. მიზნები ასევე ასახავს შრომის ბაზრისა და საზოგადოების საჭიროებებს.

პროგრამის მიზნები შეესაბამება 2022-2030 წლების „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიას“, რომელიც ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებსა და ევროპელ პარტნიორებთან თანამშრომლობაზე. პროგრამა მიზნად ისახავს გააძლიეროს კვლევითი კომპეტენცია და აღზარდოს ლიდერები განათლებისა და კვლევის მმართველობაში. მიზნები ასევე ფოკუსირებულია ინტელექტუალური ზრდის ხელშეწყობაზე, კვლევის ხარისხის ამაღლებაზე და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში სტუდენტების ჩართვაზე. ასევე, პროგრამის მიზნები ემთხვევა უფრო ფართო მოვლენებს საერთაშორისო განათლების ლიდერობის სფეროში, რაც დამოწმებულია მოწოდებულ დოკუმენტაციაში.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- ზალცბურგის პრინციპები და რეკომენდაციები; EUA-CDE ხედვის დოკუმენტი კვლევის შეფასების შესახებ.
- თსუ-ს მისია
- თვითშეფასების ანგარიში.
- სარეკომენდაციო წერილები
- პროგრამის აღწერა; პროგრამის სილაბუსები.
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N79/2018 დადგენილება „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის დამტკიცების შესახებ“³ და თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება No91/2018, 19.03.2018⁴წ.

რეკომენდაციები:

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	x	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დადგენილ კრიტერიუმებსა და სტანდარტებს სრულად შეესაბამება. სწავლის შედეგები მტკიცედ შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ზედმიწევნით მოიცავს საჭირო ცოდნას, უნარებს, ავტონომიასა და პასუხისმგებლობას; კურსდამთავრებულები იძენენ განათლებისა და მეცნიერების ადმინისტრირების პრინციპებისა და თეორიების სიღრმისეულ აღქმას, ავითარებენ კრიტიკული ანალიზისა და დამოუკიდებელი კვლევის უნარებს. სწავლის შედეგები არის რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი. პროგრამამ დაანერგა სტრუქტურირებული შეფასების გეგმა, მონიტორინგის

სპეციფიკური ინსტრუმენტებით და დადგენილი კრიტერიუმებით, რაც ასახავს გაზომვადობისა და მიღწევებზე დაკვირვებისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას. სწავლის შედეგები ასახავს უმაღლესი განათლების შესაბამის დახვეწილობას კომპლექსური უნარების და მოწინავე კვლევითი შესაძლებლობების განვითარების მეშვეობით, ისე, რომ იმავდროულად შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცესთან (FQ-EHEA) და კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოსთან, რასაც მოწმობს დარგობრივი კომპეტენციებისა და პროფესიული სტანდარტების ინტეგრირება. პროგრამა კარიერულ განვითარებას ეფექტურად უზრუნველყოფს ტრანსფერული უნარების განვითარებისა და რეალურ ცხოვრებაში მათი პრაქტიკული გამოყენების გზით; იგი კურსდამთავრებულებს ამზადებს როგორც პროფესიული პრაქტიკისთვის, ასევე შემდგომი აკადემიური მისწრაფებებისთვის. თანამედროვე გამოწვევებისა და პროფესიული ეთიკის პროგრამაში ინტეგრირება მოწმობს დარგის შესახებ მაღალ ცნობიერებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირების უნარს.

ინტერვიუს მიგნებები კი პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისადმი მტკიცე კოლაბორაციულ მიდგომას მოწმობს. პროცესში აქტიურად მონაწილეობდა დაინტერესებული მხარეების რამდენიმე ჯგუფი. სასწავლო გეგმის შემუშავების ჯგუფმა დანერგა ეფექტური საკომუნიკაციო სტრატეგია, სწავლის შედეგების საბოლოო ფორმის გასაზიარებლად.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- o საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- o თვითშეფასების ანგარიში;
- o გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები

- o არ ეხება

წინადადებები

- o არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	x	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვინაიდან ეს პროგრამა არის ერთობლივი პროგრამა და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) და სსიპ ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტი (NKUA) ანიჭებენ ერთობლივ ხარისხს, ხაზგასმულია, რომ ორივე დაწესებულებაში, სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. ეს შეფასებები ხდება რეგულარულად და დაგეგმილია თითოეული აკადემიური სფეროს უნიკალური მახასიათებლების მიხედვით. ეს უზრუნველყოფს, შეფასებების აქტუალობასა და დროულობას, რათა ასახავდეს სხვადასხვა დისციპლინის ცვალებად საჭიროებებს.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მორგებულია სასწავლო სფეროს სპეციფიკურ მახასიათებლებზე და განათლების საფეხურზე (მაგ. ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა). ამ შედეგების შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის:

- **პირდაპირი მეთოდები**, როგორცაა ტესტები, დავალებები და კვლევითი პროექტები.
- **არაპირდაპირი მეთოდები**, როგორცაა გამოკითხვები და დაინტერესებული მხარეების გამოხმაურება.

ეს მიდგომები იძლევა სრულ სურათს იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად აღწევნ სტუდენტები პროგრამის სასწავლო მიზნებს.

გარე დაინტერესებული მხარეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პროგრამის აქტუალობის უზრუნველსაყოფად. ეს დაინტერესებული მხარეები არიან:

- **დამსაქმებლები**: ისინი პროგრამას სთავაზობენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად ამზადებს პროგრამა სტუდენტებს პრაქტიკაში საჭირო უნარებითა და ცოდნით.
- **კურსდამთავრებულები**: ისინი აწვდიან უკუკავშირს საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, თუ რამდენად გამოადგათ მიღებული განათლება კარიერაში.
- **პროფესიული ასოციაციები**: ისინი ხელს უწყობენ პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე ინდუსტრიასთან და აკადემიურ სტანდარტებთან.

ეს თანამშრომლობა აძლიერებს შეფასების პროცესს და უზრუნველყოფს, რომ პროგრამა აკმაყოფილებდეს დამსაქმებლებისა და პროფესიული სფეროების მოლოდინებს.

თითოეულ სწავლის შედეგს აქვს მკაფიო სამიზნე ნიშნულები, რომლებიც განსაზღვრავენ მიღწევის მოსალოდნელ დონეს. შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგს:

- სტუდენტთა მუშაობის მონიტორინგი.
- შედეგების შედარება სამიზნე ნიშნულებთან.

ეს ხელს უწყობს ხარვეზების ადრეულ იდენტიფიცირებას და ავლენს გასაუმჯობესებელ მხარეებს.

ფაკულტეტის წევრები, მოწვეული ლექტორები და პროგრამაში ჩართული სხვა პერსონალი გადის გადამზადებას სწავლის შედეგების ეფექტურად შეფასებაზე. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების, პერსონალის და გარე დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას შეფასების შედეგების შესახებ. ამ ინფორმაციის ღიად გაზიარება განამტკიცებს ნდობას და ხელს უწყობს თანამშრომლობას პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის:

- პროგრამის შინაარსის განახლებისა და შეცვლისთვის;
- სწავლის შედეგების მოსარგებად, რათა ასახავდეს ცვალებად საჭიროებებს.
- შეფასების პროცესის გასაუმჯობესებლად.
- სწავლების მეთოდების და რესურსების გასაუმჯობესებლად.

უწყვეტი განხვილვის ასეთი პროცესი უზრუნველყოფს, რომ პროგრამამ შეინარჩუნოს აქტუალობა და მაღალი ხარისხი, ცვალებად საგანმანათლებლო და პროფესიულ გარემოში.

ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებით, პროგრამა შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს, აკმაყოფილებს დაინტერესებულ მხარეებს და ეხმარება კურსდამთავრებულებს აკადემიურ და პროფესიულ წინსვლაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წარმოდგენილი პროგრამა
- შრომის ბაზრის კვლევა
- თვითშეფასების ანგარიში.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალიზი
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- გაასუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	x	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ერთობლივად არის შემუშავებული ორივე დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისთვის დადგენილი მეთოდოლოგიების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს თსუ-ის და ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტის (NKUA) სტანდარტებთან შესაბამისობას. რომ შევაჯამოთ, სადოქტორო პროგრამის ფორმა, შინაარსი და სტრუქტურა ლოგიკურად ურთიერთკავშირშია და შეესაბამება მის მიერ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამა აერთიანებს თეორიასა და პრაქტიკას, ამზადებს სტუდენტებს სხვადასხვა როლებისთვის; პროგრამა მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებსა და პერსპექტივებს. პროგრამა შექმნილია განათლებისა და მეცნიერების სფეროში კვლევისა და ადმინისტრირებისთვის საჭირო უნარების გასავითარებლად.

ასევე, „ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომის“ შესაბამისად (ESG 1.2), პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სტუდენტებს აძლევს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. უფრო კონკრეტულად, პროგრამა სტრუქტურირებულია ისე, რომ სტუდენტებს ძირითად საგნობრივ სფეროებში მისცეს ცოდნა და განუვითაროს კვლევითი უნარები. ასევე, პროგრამა აშკარად შეესაბამება ზალცბურგის

პრინციპებს, ზალცბურგ II-ის რეკომენდაციებს და სადოქტორო განათლების შესახებ EUA-CDE-ის ხედვის დოკუმენტს .

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო გეგმა აგებულია ძირითადი კურსებითა და სპეციალიზებული მოდულებით, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისკენ მკაფიო პროგრესით⁵⁶. მაგალითად, ისეთი მოდულები, როგორიცაა „შესავალი კვლევის მეთოდებში (Advanced)“ (TC1), „კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები“ (TC2 და TC3) და „ლიდერობა და ადმინისტრირება“ (TC4) ლოგიკურად არის დალაგებული, რათა ააგოს კვლევითი კომპეტენცია.
- პროგრამა შექმნილია თეორიისა და პრაქტიკის დასაკავშირებლად⁴. მაგალითად, კურიკულუმი სტუდენტებისთვის მოიცავს შესაძლებლობებს, რომ ისინი ჩაერთონ კვლევით ცენტრებთან და გამოცდილ პროფესორებთან ურთიერთობაში, რითაც ხდება საკვლევი თემების საზოგადოებრივ საჭიროებებთან შესაბამისობა.
- პროგრამა აერთიანებს ინტერდისციპლინურ მიდგომებს და მოიცავს სხვადასხვა თემებს, დაწყებული კვლევის მეთოდებიდან დამთავრებული განათლების პოლიტიკითა და ადმინისტრირებით.
- პროგრამის მიზანია, აღზარდოს კურსდამთავრებულები, რომლებსაც შეუძლიათ განათლებისა და მეცნიერების ადმინისტრირების კომპლექსური საკითხების მოგვარება. სწავლის შედეგები მოიცავს ისეთ უნარებს, როგორიცაა "კრიტიკული ანალიზი, შეფასება და ახალი და რთული იდეების სინთეზი" (PLO3), რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზანს - მოამზადოს ლიდერები და მკვლევარები.

რეკომენდაციები:

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სტრუქტურა, თანმიმდევრობა და სწავლის სქემა ოდნავ გაუგებარია პოტენციური სტუდენტისთვის. სასურველია, პოტენციურ სტუდენტებს უფრო დეტალურად გააცნოთ სტუდენტის გასავლელი გზა, რათა უზრუნველყონ პროგრამის გზამკვლევის მეტი სიცხადე და ხელმისაწვდომობა.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

1.4საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	x	☐	☐	☐
--	---	--------------------------	--------------------------	--------------------------

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის აგებულება უზრუნველყოფს, რომ თითოეული აკადემიური მოდულის შინაარსი, მინიჭებული კრედიტები და შერჩეული სასწავლო მასალა პირდაპირ უწყობდეს ხელს კონკრეტული კურსებისა და პროგრამის მასშტაბით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მისი მოდულური სტრუქტურა უზრუნველყოფს მკაფიო პროგრესიას საბაზისო ცოდნიდან მოწინავე უნარების დაუფლებამდე, რაც მხარდაჭერილი ძლიერი საერთაშორისო თანამშრომლობით და მრავალფეროვანი აკადემიური რესურსების ხელმისაწვდომობით. თვითშეფასების ანგარიშიდან, სასწავლო გეგმის დოკუმენტებიდან და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებიდან მიღებული მტკიცებულებები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას, თანმიმდევრულობას და უწყვეტი განვითარების პოტენციალს, ამასთან, ასევე გამოყოფს გასაუმჯობესებელ სფეროებს გლობალურ საუკეთესო პრაქტიკასთან და განათლებისა და მმართველობის მხარდ ტენდენციებთან უფრო მეტი შესაბამისობის მიზნით.

თითოეული მოდული შექმნილია კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღწევად, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის უფრო ფართო მიზნებთან. მაგალითად, კურსები ყურადღებას ამახვილებს კვლევის მეთოდოლოგიების განვითარებაზე, კრიტიკულ აზროვნებასა და პრაქტიკულ გამოყენებაზე, რაც დასტურდება სასწავლო გეგმის რუკით. მოდულების სწავლის შედეგები ლოგიკურად ემთხვევა პროგრამის ძირითად მიზნებს, როგორცაა ინოვაციების ხელშეწყობა, ეთიკური კვლევები და გლობალური პერსპექტივები .

თითოეულ მოდულს ენიჭება 5 ECTS, რაც შეესაბამება სტუდენტთა ჩართულობის 125 საათს, მათ შორის საკონტაქტო საათებს, მოსამზადებელ სამუშაოებს და დამოუკიდებელ სწავლებას. ასეთი განაწილება უზრუნველყოფს სათანადო სიღრმესა და ფოკუსს მოდულის სპეციფიკური შედეგების მისაღწევად.

პროგრამა მოიცავს აქტუალურ და რელევანტურ აკადემიურ რესურსებს, როგორცაა ძირითადი ტექსტები კვლევის მეთოდოლოგიასა და მმართველობაში (მაგ., Creswell's Research Design და Greenwood's Action Research), ამას ემატება წვდომა ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე.

წვლილი პროგრამის საერთო შედეგებში:

პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის ვერტიკალურ ინტეგრაციას, სადაც საბაზისო კურსები, როგორცაა შესავალი კვლევის მოწინავე მეთოდებში, ასწავლის ცნებებს, ხოლო რთული მოდულები, როგორცაა განათლება მდგრადი განვითარებისთვის და დოქტორანტის სემინარი, სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას რომ ეს კონცეფციები განამტკიცოს და მათ უკეთ დაეუფლოს. ეს ნათლად არის ასახული სასწავლო გეგმის პროგრამის მონახაზში—დანართი_3.

საერთაშორისო და თანამშრომლობითი მიდგომა:

თსუ-სა და NKUA-ს მიერ პროგრამის ერთობლივი განხორციელების ფარგლებში, პროგრამა მოიცავს საერთაშორისო თანამშრომლობას, კულტურათაშორის ჩართულობას და სხვადასხვა საგანმანათლებლო პარადიგმებთან შემხებლობას. ეს აისახება ერთობლივ ვორქშოპებში, ერთობლივი ხელმძღვანელობის მოდელებსა და საერთაშორისო სეზონურ სკოლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

პროგრამის შესაბამისობა მხარდაჭერილია შემდეგი მტკიცებულებებით:

- თვითშეფასების ანგარიში: კურსის დონის სწავლის შედეგების დეტალური თანხვედრა პროგრამის მიზნებთან
- კურიკულუმის რუკები და სილაბუსები: ეს დოკუმენტები ხაზს უსვამს შინაარსისა და შედეგების ლოგიკურ თანმიმდევრობას, მოწმობს რომ პროგრამა მიზანმიმართულად არის აგებული ისე, რომ მიაღწიოს სწავლის შედეგებს.
- რესურსების ხელმისაწვდომობა: არსებული და ყოვლისმომცველი რესურსების მტკიცებულება, მათ შორის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები და საერთაშორისო სასწავლო მასალები.
- უკუკავშირის მექანიზმები: ინსტრუმენტები პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად და, პერიოდულ მიმოხილვებზე დაყრდნობით, სწავლების მეთოდების გასაუმჯობესებლად.
- ინტერვიუს შედეგები: დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებები ადასტურებს კურსის შედეგებსა და დამსაქმებლის საჭიროებებს შორის შესაბამისობას, ხაზს უსვამს პროგრამის აქტუალობას.

რეკომენდაციები:

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უფრო დეტალურად გაითვალისწინოთ ის თუ როგორ პასუხობს პროგრამა სტუდენტთა წარსული განათლებისა მრავალფეროვნებასა და სწავლის სტილებს სხვადასხვა მოდულების შიგნით.

- მართალია, პროგრამა აერთიანებს საერთაშორისო ელემენტებს, თუმცა სასურველია საერთაშორისო სტუდენტებზე უფრო მეტად მორგებული მხარდაჭერის უზრუნველყოფა (მაგ., კულტურული საორიენტაციო შეხვედრები, ენის მხარდაჭერა), რამაც შესაძლოა მათი გამოცდილება გააუმჯობესოს.
- სასურველია, სტუდენტებს შესთავაზოთ ისეთი არჩევითი კურსები, რომლებიც შეისწავლიან განვითარებად სფეროებს, მაგალითად ხელოვნურ ინტელექტს განათლების სფეროში, ინტერდისციპლინურ მმართველობას და კვლევის ინოვაციური დაფინანსების მოდელებს. ეს გააუმჯობესებს სამომავლო ტენდენციებთან პროგრამის ადაპტირების შესაძლებლობას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	x	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

განათლების მეცნიერებათა ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ცხადყოფს კარგად სტრუქტურირებულ მიდგომას, რომლითაც ეფექტურად არის დაბალანსებული აკადემიური წარჩინება განათლების დარგში პროფესიულ გამოცდილებასთან. მოთხოვნები მკაფიო თანხვედრაშია პროგრამის ძირითად ამოცანასთან, რომ გამოიწვევს განათლების პროფესიონალების, მათ შორის მასწავლებლების, აღმასრულებლებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის; მოთხოვნებით გათვალისწინებულია, რომ კანდიდატს უნდა ჰქონდეს ძლიერი აკადემიური საფუძველი მაგისტრის ხარისხითა და განათლებასთან დაკავშირებულ დარგებში მინიმუმ სამწლიანი სამუშაო გამოცდილებით. მოთხოვნები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. ამას მოწმობს მათი მკაფიო ფორმულირება, რაც მოიცავს კონკრეტულ დოკუმენტებს, კვლევითი პროექტისა და მიზნის განაცხადში სიტყვათა რაოდენობის შეზღუდვას. პროგრამა თავისი ფუნდამენტური მოთხოვნებით ინარჩუნებს ძლიერ აკადემიურ სტანდარტებს; მოითხოვს რა მაგისტრის ხარისხს ნაშრომითა და 10 კრედიტს კვლევასა და პედაგოგიკაში, რაც უზრუნველყოფს რომ პროგრამაზე მიღებულ კანდიდატებს ჰქონდეთ საბაზისო კვლევითი კომპეტენცია. მიღების პროცესი, რომელსაც ზედამხედველობს სადოქტორო კომისია, იცავს სტანდარტულ აკადემიურ პრაქტიკას, საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმებთან არის ძლიერი შესაბამისობა, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისა და მიღებისადმი კარგად სტრუქტურირებული მიდგომით. სადოქტორო კომისია უზრუნველყოფს ინსტიტუციურ ზედამხედველობას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სათანადო დაგეგმვის მეთოდოლოგიას, ასევე პროგრამაზე დაშვების თანმიმდევრულ პრაქტიკას, ხოლო წინაპირობებში აკადემიურ ბრწყინვალებაზე და პროფესიულ გამოცდილებაზე ორმაგი აქცენტი მოწმობს, რომ დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროგრამის სპეციფიკას. საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა და სტანდარტული აკადემიური პრაქტიკის გამოყენება კიდევ უფრო მეტად მოწმობს, რომ დაწესებულებამ შექმნა რესურსების დაგეგმვისა და ადმინისტრაციული მართვის სათანადო მექანიზმები.

წინაპირობები ლოგიკურ კავშირშია პროგრამის შინაარსთან, განსაკუთრებით აკადემიურ სრულყოფილებასა და პროფესიულ გამოცდილებაზე ორმაგი აქცენტით. C1 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა ინგლისურენოვან პროგრამაში, ხოლო კვლევის პროექტის მოთხოვნა წარმოადგენს დოქტორანტურის დონის კვლევისთვის კანდიდატების მზადყოფნის მნიშვნელოვან ინდიკატორს. ზოგადი სადოქტორო პროგრამის ტრაექტორიაში მითითებულ ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნებსა (IELTS 6.5 ქვეყნულებით არანაკლებ 6.0) და კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმებს (IELTS 7.0) შორის არსებობს შეუსაბამობა, რამაც შესაძლოა პოტენციური აპლიკანტები დააბნიოს. სასურველია, რომ ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნები სტანდარტიზებული იყოს პროგრამის ყველა დოკუმენტში. სასურველია, ინგლისური ენის მოთხოვნებს დაემატოს საერთაშორისო სერტიფიცირების სხვა ვარიანტები, როგორიცაა Cambridge Exams CAE ან სხვა, ენის სერთიფიკატების მოქმედების ვადებთან და წარსულში ინგლისურ ენაზე სწავლის შემთხვევაში გამონაკლისების არსებობის კრიტერიუმებთან ერთად.

რეკომენდებულია, რომ მიღების პროცედურის ფარგლებში, შემუშავდეს და ნათლად დოკუმენტირდეს კვლევითი წინადადებისა და მიზნების განაცხადის შეფასების კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას კანდიდატების კვლევითი შესაძლებლობებისა და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის შეფასებაში.

კვლევის პროექტის კომპონენტი, მიუხედავად იმისა, რომ კარგად არის გააზრებული მისი სიდიდის მოთხოვნების თვალსაზრისით, დოქტორანტებისთვის საჭიროებს უფრო დეტალურ შეფასების კრიტერიუმებს. ანალოგიურად, მიზნის განაცხადი საჭიროა შეფასების მკაფიო რუბრიკების შესაქმნელად, რათა უზრუნველყოფილ იქნას კანდიდატების მოტივაციისა და მიზნების თანმიმდევრული შეფასება. რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე დაშვების პროცედურის ფარგლებში, კვლევითი პროექტისა და მიზნის განაცხადის შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს და მკაფიოდ აისახოს დოკუმენტაციაში, რაც უზრუნველყოფს კანდიდატების კვლევითი შესაძლებლობების შეფასების გამჭვირვალობასა და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობას.

დოკუმენტაციიდან და პროცესის მოთხოვნებიდან ვლინდება ერთობლივი პროგრამის სტრუქტურა, სადაც მოთხოვნილია სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან 2 პოტენციური ხელმძღვანელის ყოლა, თუმცა ეს ასპექტი საჭიროებს უფრო დეტალურ განმარტებას. სასურველია, შექმნათ პოტენციური ხელმძღვანელების სია მათი საკონტაქტო ინფორმაციით, რათა ხელი შეუწყოს ერთობლივ პროგრამაში სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის დაწყვილების პროცესს. ეს მარტივი ჩამატება დაეხმარება სტუდენტებს ეფექტურად ამოიცნონ და დაუკავშირდნენ პოტენციურ ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ უნივერსიტეტებში.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- o საგანმანათლებლო პროგრამა;
- o თვითშეფასების ანგარიში;
- o სტუდენტთა დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- o მარეგულირებელი დოკუმენტები;
- o უნივერსიტეტის ვებ-საიტი;
- o გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების პროცედურის ფარგლებში, კვლევითი პროექტისა და მიზნის განაცხადის შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს და მკაფიოდ აისახოს დოკუმენტაციაში, რაც უზრუნველყოფს კანდიდატების კვლევითი შესაძლებლობების შეფასების გამჭვირვალობასა და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნები სტანდარტიზებული იყოს პროგრამის ყველა დოკუმენტში.
- სასურველია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში, ინგლისური ენის მოთხოვნები მოიცავდეს საერთაშორისო სერტიფიცირების დამატებით ვარიანტებს, როგორცაა კემბრიჯის გამოცდები CAE ან სხვა; ასევე სასურველია დაკონკრეტდეს ენის სერტიფიკატების მოქმედების ვადებთან და წარსულში ინგლისურ ენაზე სწავლასთან დაკავშირებული ინფორმაცია.
- სასურველია, შეიქმნას პოტენციური ხელმძღვანელების სია მათი საკონტაქტო ინფორმაციით, რათა ხელი შეეწყოს ერთობლივ პროგრამაში სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის დაწყვილების პროცესს.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

ევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა სტუდენტების პრაქტიკული უნარებისა და კვლევითი შესაძლებლობების განვითარება კვლევაზე დაფუძნებული

სწავლების მიდგომის გამოყენებით. სილაბუსების დეტალური შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა სტუდენტების აქტიური ჩართულობა პროექტებში, რომლებიც პასუხობს საზოგადოების რეალურ საჭიროებებს, ეფექტურად აკავშირებს თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ გამოყენებასთან და ამავდროულად ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრისა და ანალიტიკურ უნარებს. პროგრამის სტრუქტურა წარმატებით აერთიანებს პრაქტიკულ კომპონენტებს სწავლის შედეგებთან, რასაც ახორციელებს პროექტზე დაფუძნებული სწავლებითა და საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებით. ამას ადასტურებს 2024 წლის სადოქტორო საზაფხულო სკოლა. ხელმძღვანელობის ასპექტი განსაკუთრებით მყარია, კვალიფიციური ლექტორებითა და პროფესორებით, რომლებსაც სამეცნიერო საგრანტო პროექტების ფართო გამოცდილება აქვთ და უზრუნველყოფენ ყოვლისმომცველ ხელმძღვანელობას საკვლევ თემებსა და მეთოდოლოგიებზე.

სადოქტორო პროგრამის ეფექტურობას მნიშვნელოვნად აძლიერებს თსუ-ს ფართო საერთაშორისო პარტნიორობის ქსელი და წევრობა პრესტიჟულ აკადემიურ ასოციაციებში. ეს ინსტიტუციური ურთიერთობები უზრუნველყოფს მყარ ჩარჩოებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, ამავდროულად უზრუნველყოფს სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილებითა და კვლევითი შესაძლებლობებით.

თსუ-ს წევრობა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციაში (EUA) განსაკუთრებით აძლიერებს პროგრამის უნარს უპასუხოს ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პოლიტიკის განვითარებას. ეს კავშირი უნარჩუნებს პროგრამას შესაბამისობას თანამედროვე ევროპულ აკადემიურ პრაქტიკასთან და ამავდროულად უზრუნველყოფს სტუდენტების წვდომას უფრო ფართო ევროპულ კვლევით ქსელებსა და მეთოდოლოგიურ ჩარჩოებზე.

უნივერსიტეტის მონაწილეობა შავი ზღვის უნივერსიტეტების ქსელში (BSUN), რომელიც აერთიანებს 100-ზე მეტ უნივერსიტეტს 12 წევრი ქვეყნიდან, ქმნის ღირებულ შესაძლებლობებს რეგიონული თანამშრომლობისა და პრაქტიკული კვლევის გამოცდილებისთვის. ეს ქსელი კონკრეტულად უჭერს მხარს პროგრამის იმ სწავლის შედეგების მიღწევას, რომლებიც საერთაშორისო თანამშრომლობასა და კულტურათაშორისი კვლევის კომპეტენციებს უკავშირდება, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ჩაერთონ რეგიონულ პროექტებში, რომლებიც პასუხობს შავი ზღვის რეგიონის საერთო გამოწვევებს.

პროგრამის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო აძლიერებს თსუ-ს ხანგრძლივი წევრობა უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციაში (IAU) 1975 წლიდან. UNESCO-ზე დაფუძნებული ეს ასოციაცია უზრუნველყოფს ჩარჩოებს უმაღლესი განათლების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დანერგვისთვის, რაც პირდაპირ უჭერს მხარს პროგრამის სწავლის შედეგებს, რომლებიც უკავშირდება კვლევით სრულყოფილებასა და გლობალურ აკადემიურ სტანდარტებს. უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის აკადემიური თავისუფლებისა და ცოდნის მიების პრინციპები სრულად შეესაბამება

პროგრამის ფოკუსს დამოუკიდებელი კვლევითი შესაძლებლობებისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაზე.

უნივერსიტეტის წევრობა Magna Charta Observatory-ში ადასტურებს მის ერთგულებას უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებებისა და უფლებების მიმართ, რაც ხაზს უსვამს პროგრამის ეთიკურ კვლევით პრაქტიკასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებას. ეს შესაბამისობა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები არა მხოლოდ ტექნიკურ კვლევით უნარებს ავითარებენ, არამედ მყარ საფუძველს ქმნიან კვლევის ეთიკასა და პროფესიულ ქცევაში.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ადგილობრივი და საერთაშორისო მემორანდუმები მრავალ უნივერსიტეტთან. საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობები, რომლებიც ამ ქსელების მეშვეობით ხორციელდება, ფორმალიზებულია კონკრეტული შეთანხმებებით (სტუდენტების რაოდენობა, მიზნები და ხანგრძლივობა) და ურთიერთგაგების მემორანდუმებით. ეს ფორმალური შეთანხმებები უზრუნველყოფს, რომ საერთაშორისო გამოცდილება არ არის მხოლოდ დამატებითი აქტივობები, არამედ წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ კომპონენტებს, რომლებიც პირდაპირ უწყობს ხელს სასწავლო შედეგების მიღწევას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე არსებული ურთიერთობების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- უნივერსიტეტის ვებ-საიტი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები

- არ ეხება

წინადადებები

- არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა აში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებ	x	□	□	□

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა ავლენს სწავლებისა და სწავლის მეთოდების ყოვლისმომცველ და კარგად სტრუქტურირებულ მიდგომას, რომელიც ეფექტურად შეესაბამება სადოქტორო დონის განათლების მოთხოვნებს. პროგრამა წარმატებით ნერგავს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებს, რომლებიც აერთიანებს ტრადიციულ აკადემიურ სიმკაცრეს და თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს. პროგრამის საფუძველში დევს მაღალი დონის აკადემიური ლიტერატურის დამოუკიდებელი და განმარტებითი კითხვა, რომელსაც მოსდევს პროფესორის უკუკავშირით წარმართული დისკუსიები რთული თეორიული საკითხების გაგებისთვის. სწავლების მეთოდები აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა ხერხის მეშვეობით, როგორცაა ჯგუფური აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს თანატოლებისგან სწავლას, პროფესიული პრაქტიკის შესაძლებლობები თეორიული კონცეფციების პრაქტიკული გამოყენებისთვის და პროექტზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობით კვლევასა და გუნდურ მუშაობას. კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებას ხაზს უსვამს ანალიზის, სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის სისტემური მიდგომები, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და შემთხვევების შესწავლის ანალიზი.

პროგრამა მოქნილია იმ თვალსაზრისით, რომ აკმაყოფილებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს თავისი ელექტრონული სწავლების პლატფორმების მეშვეობით, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ისწავლონ საკუთარი ტემპით და ითვალისწინებს სტუდენტებს საერთაშორისო ვალდებულებებით ან პროფესიული პასუხისმგებლობებით. ციფრული რესურსები და ონლაინ სადისკუსიო ფორუმები უზრუნველყოფს პერსონალიზებულ წვდომას მასალებზე და მოქნილ ჩართულობას, ხოლო ადაპტირებადი პროექტები ემსახურება მრავალფეროვან კვლევით ინტერესებს. ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტების დანერგვა განსაკუთრებით ეფექტურია, ციფრული პლატფორმები ხელს უწყობს რესურსების გაზიარებასა და თანამშრომლობას ისე, რომ არ ირღვევას საგანმანათლებლო მიზნები. ონლაინ დისკუსიები მოიცავს ინტერაქტიულ სწავლას

ვირტუალურ გარემოში, ხოლო ვირტუალური თანამშრომლობის ინსტრუმენტები ეფექტურად უზრუნველყოფს დისტანციურ ჯგუფურ მუშაობას. პროგრამის ელექტრონული სწავლების კომპონენტები კარგად არის ინტეგრირებული და შეესაბამება სადოქტორო დონის განათლებას, ინარჩუნებს აკადემიურ სიმკაცრეს და ამავდროულად აძლიერებს ხელმისაწვდომობას. სტუდენტებთან გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ მათ შეხება ჰქონდათ და გამოიყენეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ეს ხაზს უსვამს, რომ სტუდენტები უკვე იცნობენ პერსონალიზებული სწავლების მიდგომებს, რომლებიც მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

პროგრამა წარმატებით აბალანსებს მკაცრი აკადემიური სტანდარტების საჭიროებებს ხელმისაწვდომობასთან და სტუდენტთა მხარდაჭერასთან, განსაკუთრებით ელექტრონული სწავლების კომპონენტების ეფექტური დანერგვის მეშვეობით, რაც ყოვლისმომცველ და მიმზიდველ სასწავლო გარემოს ქმნის და ხელს უწყობს როგორც თეორიულ გაგებას, ისე ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	x	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარდგენილი დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე გამოვლინდა, რომ სტუდენტების შეფასება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. აღნიშნული წესები სამართლიანია და ითვალისწინებს გამჭვირვალობისა და სანდოობის პრინციპებს. გარდა ამისა, კურსის შეფასების სისტემა ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. სილაბუსების შესწავლისას გამოვლინდა, რომ თითოეული სილაბუსის შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკა დეტალურად არის გაწერილი და შეესაბამება სტანდარტებს. ამასთან, თითოეულ შემთხვევაში დაცულია სწავლების ლოგიკა. კერძოდ, შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე, რომლებიც შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებს.

